

1. სამაგისტრო პროგრამა : მათემატიკა Mathematics
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი : მეცნიერებათა მაგისტრი მათემატიკაში MSc in Mathematics

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:

- უ. გოგინავა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი;
- დ. გორდეზიანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი;
- თ. ვაშაყმაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი;
- თ. თაღუმაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი;
- ე. ნადარაია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი;
- რ.ომანაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი.

4. პროგრამის ანალოგი : მანჩესტერის უნივერსიტეტი (The University of Manchester)
MSc in Pure Mathematics <http://www.maths.manchester.ac.uk/postgraduate/>
- ლუნდის უნივერსიტეტი (The Lund University)
MSc in Mathematics <http://www.lu.se>

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი

- მისცეს მაგისტრს თანამედროვე მიღწევათა შესაბამისი საფუძვლიანი განათლება მათემატიკაში;
- გამოუძუშავოს მას სამეცნიერო კვლევასა და სხვადასხვა პრაქტიკულ პრობლემათა გადაჭრაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების უნარი.

შედეგი

მაგისტრს უნდა შეეძლოს :

- სპეციალიზაციის შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურის წაკითხვა და გარჩევა;
- მათემატიკური შედეგების ლოგიკურად გამართული სახით ჩამოყალიბება ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- მეცნიერული კვლევის წარმოება სპეციალიზაციის მიმართულებით;
- დასმული (არა მხოლოდ მათემატიკური) ამოცანის არსის ჩაწვდომა და მისი აბსტრაგირება;
- რეალური ცხოვრებიდან აღებულ სიტუაციათა მათემატიკური მოდელირება;
- ინფორმაციის მოწესრიგება, ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გაკეთება;
- მიღებული ცოდნის გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადაჭრისას.

დასაქმების სფეროები

განათლება, მეცნიერული კვლევა, მრეწველობა, ბიზნესი, საბანკო და საფინანსო სფერო, სახელმწიფო სტრუქტურები.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მათემატიკაში, გამოყენებით მათემატიკაში, გამოთვლით მათემატიკასა და ინფორმატიკაში, კომპიუტერულ მეცნიერებებში ან სხვა მონათესავე დარგში შესაბამისი კრედიტებით საბაზო საგნებში. რომელიმე სამეცნიერო უცხო ენის ცოდნა B1 დონეზე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელი არაა.

7. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამა შედგება სამი განსხვავებული კომპონენტისაგან

- სპეციალობის საბაზო საგნები 60 ECTS
- არჩევითი კურსები 30 ECTS
- სამაგისტრო დისერტაცია 30 ECTS

სასწავლო კომპონენტების განაწილება სემესტრების მიხედვით:

I სემესტრი	სპეციალობის საბაზო საგნები	30 ECTS
II სემესტრი	სპეციალობის საბაზო და არჩევითი საგნები	20 ECTS + 10 ECTS
III სემესტრი	სპეციალობის არჩევითი კურსები, სამაგისტრო დისერტაცია	25 ECTS + 5 ECTS
IV სემესტრი	არჩევითი კურსები, სამაგისტრო დისერტაცია	5 ECTS + 25 ECTS

სტუდენტი ირჩევს სამაგისტრო დისერტაციის თემას; სამაგისტრო ნაშრომის თემის დამტკიცება.

სამაგისტრო დისერტაციის დაცვა

ბიბლიოთეკა: თსუ, თსუ გმი, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი
კომპიუტერები: თსუ მათემატიკის ს/ს ინსტიტუტი, თსუ გმი, თსუ რესურს-ცენტრები
Internet: თსუ მათემატიკის ს/ს ინსტიტუტი, თსუ გმი, თსუ რესურს-ცენტრები